წლიური ანგარიში
2023 წელი

ბიუროს შესახებ

ბიუროს მისია

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანს წარმოადგენს მეცნიერებაზე დაფუძნებული, კვალიფიციური საექსპერტო მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ემყარება ხარისხისა და ანალიტიკური საქმიანობის მუდმივი განვითარების კონცეფციას, კერძოდ: საექსპერტო კვლევებისათვის საყოველთაოდ აღიარებული და დანერგილი სამეცნიერო ტექნოლოგიების გამოყენება, მაღალკვალიფიციური ექსპერტიზების ჩატარება და მომსახურების მუდმივი განვითარება.

ბიუროს ფუნქციები

- სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის ან დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;
- სასამართლო-საექსპერტო მომსახურების გაწევა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის განხორციელება, ახალი მიდგომების დანერგვა და გამოკვლევათა სრულყოფა;
- საქართველოს და საერთაშორისო სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- დაქტილოსკოპიური, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება;
- ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე;
- მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ბიურო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს

- ❑ ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ❑ ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- ❑ სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- ❑ დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა;
- ❑ სასაქონლო ექსპერტიზა;
- ❑ ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- ❑ საინჟინრო ექსპერტიზა;
- ❑ ნავთობ- პროდუქტების ექსპერტიზა;
- ❑ კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ❑ ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ❑ ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ❑ ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზა;
- ❑ სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირების და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური, ჰისტოლოგიური ექსპერტიზა);
- ❑ ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური და სხვ);
- ❑ ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- ❑ კომპიუტერული ექსპერტიზა;
- ❑ ბიურო უფლება მოსილია კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სხვა სახის ექსპერტიზებიც.

სასამართლო
ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო

შემაჯამებელი მიმოხილვა

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში შეესაბამება “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #255 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას და მოიცავს 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების და განხორციელბული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ ცნობებს.

- 2023 წლის ბიუროს ანგარიშში აღნიშნულია დეტალური ინფორმაცია ბიუროს დეპარტამენტების მიერ, ერთი წლის განმავლობაში სისრულეში მოყვანილი საქმიანობის, საექსპერტო და ადმინისტრაციული მიმართულებით დანერგილი სიახლეების და მომავალი წლის გეგმების შესახებ;

- მიმდინარე წელს სამოქმედო გეგმით განხორციელებულ აქტივობებს საფუძვლად უდევს ბიუროს 2020-2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით 2023 წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა:

საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურა

მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისი

უწყვეტი განათლება

2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეები

2023 წელს ბიურომ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა, როგორც შიდა სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ადმინისტრაციული მოხელეების საქმიანობის გაუმჯობესების, ახალი კვალიფიციური კადრების მოძიების, ასევე მომხმარებლისთვის ხარისხიანი, მარტივი და სწრაფი სერვისის შეთავაზების მიზნით.

მიმდინარე წელს, ბიუროს საქმისწარმოების სამმართველოში გაერთიანდა და ერთ სტრუქტურად ჩამოყალიბდა საინჟინრო, სამედიცინო, ფსიქიატრიული და რეგიონული დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებები, რამაც უფრო მოქნილი და ოპერატიული გახადა საქმისწარმოების პროცესი.

აღნიშნულ სამმართველოს დაექვემდებარა ასევე ბიუროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, ე.წ ქოლ-ცენტრი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ცენტრის რეფორმირების პროცესი;

2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეები

საქმისწარმოების სამმართველოს მიერ დამუშავდა 167 980 დოკუმენტი. მათ შორის: ექსპერტიზის დანიშვნის დოკუმენტები, ექსპერტიზის დასკვნები, წერილები და სხვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საარქივო საქმიანობის მიმართულებითაც. საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებით დამტკიცდა ბიუროს საქმეთა ნაერთი ნომეკლატურა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა საარქივო დოკუმენტაციის მოწესრიგება. კერძოდ:

- სისტემატიზაცია (ფურცლობრივი გადათვლებით) ჩაუტარდა -283 461 საქმეს;
- ბიუროს 2023 წლის 25 დეკემბრის დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ აქტების საფუძველზე განადგურდა სხვადასხვა დეპარტამენტის 1928-2018 წლების 53 352 დოკუმენტი;
- გაფორმდა ბიუროს ძირითადი საქმიანობის და პირადი შემადგენლობის 2011-2018 წლის ბრძანებები - ჯამში 225 წიგნი;



მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

- ჩატარდა ტრენინგი „ეფექტურ კომუნიკაციებსა და სერვის პლიუსში“ ;
- ბიუროს რუსთავის ფილიალში, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში დაემატა ერთი კადრი.

2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეები

მიმდინარე წელს, ბიუროს იურიდიული სამმართველოს ინიციატივით ამოქმედდა იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემა, რომლის მეშვეობით მიმდინარეობს სამართალწარმოების საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული სახით შეგროვება, ოპტიმალური ძიება და ანალიზი. ამასთან, აღნიშნული სისტემა იურისტების საქმიანობის მონიტორინგის ეფექტურობას უწყობს ხელს.



სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით2023 წლის განმავლობაში მომზადდა ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტები:

- ❖ ხელშეკრულების და შეთანხმებების პროექტები (მათ შორის ტექნიკური ზედამხედველობის, აგრეთვე საექსპერტო მომსახურების თაობაზე);
- ❖ ბიუროს წინადადებების და შენიშვნების საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები;
- ❖ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;
- ❖ ნორმატიული ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების პროექტები.

2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სიახლეები

საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით ბიუროს იურიდიული სამმართველოს მიერ მომზადდა 1 695 წერილი.

ბიუროს იურისტების მიერ საერთო სასამართლოებში წარდგენილი იქნა 240 სარჩელი.

სხვადასხვა სასამართლო დავებში ბიუროს იურისტებმა წარმატებით მოახდინეს ბიუროს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

იურიდიული სამმართველოს თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში სამართლებრივ კონსულტაციას უწევდნენ ბიუროს ექსპერტებს, სხვა თანამშრომლებს, აგრეთვე ბიუროს სერვისებით მოსარგებლე პირებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, მიმდინარე წელს არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით შეიქმნა :



მომზადდა ბიუროს ვებ. გვერდის, შიდა მომსახურების ელექტრონული პორტალის, facebook გვერდების რეკონსტრუქციის და განახლების პროექტები, რომლის მიზანია როგორც მომხმარებლისთვის, ასევე ბიუროს თანამშრომლებისთვის მათზე მორგებული საინტერესო, მნიშვნელოვანი კონტენტის შექმნა და ხელმისაწვდომობა.

მიმდინარე წელსაც, საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, ოპერატიულად ვრცელდებოდა ინფორმაცია ბიუროში დანერგილი მნიშვნელოვანი სიახლეების და პროექტების შესახებ

საზოგადოებასთან ურთიერთობა

2023 წლის განმავლობაში, პროაქტიულად მუშაობდა ბიუროს სოციალური ქსელი და ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც 25 000 -ზე მეტ პირზე გაიცა საჯარო ინფორმაცია. მათ შორის, ფიზიკურ, სასამართლო, საგამოძიებო, საჯარო და კერძო სტრუქტრების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე.

საანგარიშო პერიოდში, ბიუროს საექსპერტო საქმიანობის გაცნობის მიზნით, არაერთი საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენელი ესტუმრა. მათ შორის, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც დეტალურად გაეცნენ ექსპერტიზის სპეციფიკას და დანერგილ სიახლეებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უშუალო ჩართულობით მიმდინარე წელს ჩატარდა სასამართლო ექიმთა VII სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა სასამართლო ექიმმა და ექსპერტმა.

ტრადიციულად, 4 ნოემბერს, ექსპერტიზის დღეს, გაიმართა წარმატებული ექსპერტების დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც ბიუროს უფროსმა სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებს სამახსოვრო ჯილდოები გადასცა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ბიუროს საქმიანობის გაცნობის მიზნით, მასმედიის სხვადასხვა წარმომადგენლების მიერ მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტები. ასევე, ბიუროს სოციალური გვერდის საშუალებით, მომხმარებელს ეტაპობრივად მიეწოდა დეტალური ინფორმაცია ბიუროში დანერგილი ექსპერტიზების თაობაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ბიუროს თანამშრომლებისთვის პროფესიულ საქმიანობასთან ერთად უმნიშვნელოვანესია სოციალური პასუხისმგებლობა. თითქმის ორი ათეული წელია, ბიურო აქტიურად თანამშრომლობს სოლიდარობის ფონდთან, სადაც მიმდინარე წელს გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 19 217 ლარი;

2023 წლის განმავლობაში ბიუროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ისეთ სოციალურ პორექტებში როგორიცაა:

სისხლის დონაცია, ლეიკემიით დაავადებული ბავშვთათვის;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ორგანიზებით, მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების, გამოფენა-გაყიდვა.



ბიუროს თანამშრომლების მიერ, ახალი წლის მილოცვა სოციალურად დაუცველი ხუთი ოჯახის პატარებისთვის. საკვებ პროდუქტებთან ერთად, ბავშვებს გადაეცათ თბილი ტანსაცმელი, სათამაშოები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

საკადრო უზრუნველყოფა და დასაქმება

2023 წლის სტატისტიკის მიხედვით ბიუროში სულ დასაქმებულია 522 თანამშრომელი; შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე 319 პირი, ხოლო შტატგარეშე პოზიციაზე - 198 . მათ შორის, გენდერულ ჭრილში 248 ქალი და 274 მამაკაცი

სტაჟირება

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ბიუროს სხვადასხვა დეპარტამენტში სტაჟირება გაიარა ხუთმა პირმა.



ექსპერტიზის ბიურო ზრუნავს მომავალი თაობის დასაქმებაზე და მათთვის ბიუროს ექსპერტების მრავალწლიანი გამოცდილების და ცოდნის გაზიარებაზე. ამ მიზნით, ადამიანური რესურსების სამმართველო აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა დასაქმების ფორუმებში.

ეკონომიკური დეპარტამენტი

მიმდინარე წელს ეკონომიკური მიმართულებით ბიურომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი დაგეგმა და განახორციელა

2023 წლის განმავლობაში, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 42 510 000 ლარის ოდენობით, მათ შორის საკუთარი სახსრები შეადგენს 29 510 000 ლარს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრულია 13 000 000 ლარით.

- **დაზუსტებული ბიუჯეტი 42 510 000**
- **საკუთარი სახსრები 29 510 000**
- **სახელმწიფო ბიუჯეტი 13 000 000**

ეკონომიკური დეპარტამენტი

ბიუროს 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 39 067 072,44 ლარი. მათ შორის:

- საკუთარი სახსრები 26 075 708,32 ლარი;
- სახელმწიფო ბიუჯეტი 12 991 934,12 ლარი.



სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა **13 240 000** ლარი, მათ შორის: საკუთარი სახსრები **8 355 000** ლარი, საბიუჯეტო სახსრები **4 861 000** ლარი, გრანტი **24 000** ლარი.

საანგარიშო პერიოდში, **513** ხელშეკრულებას გაეწია მომსახურება (მათ შორის 20 ხელშეკრულება 2022 წელს იყო გაფორმებული). სახელშეკრულებო ღირებულების ჯამმა **12 680 911,90** ლარი შეადგინა. ამასთან, გადარიცხული თანხა - **12 403 063,98** ლარით, ხოლო აუთვისებელი თანხა - **277 847,92** ლარით განისაზღვრა.



ეკონომიკური დეპარტამენტი

საანგარიშო პერიოდში, კანონმდებლობით ნებადართულმა საკუთარმა შემოსავალმა სულ 39 885 000 ლარზე მეტი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 16 068 000 ლარით მეტია.

.



ამავე პერიოდში საზღაურის გარეშე მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 55 160 ათასი ლარით, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11 656 ათასი ლარით მეტია



ჯამში, 2023 წლის განმავლობაში მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 95 110 000 ლარზე მეტი, ანაზღაურებადი მომსახურება 39 954 000 ლარი და არაანაზღაურებადი მომსახურება 55 160 000 ლარი



ეკონომიკური დეპარტამენტი
2023 წელს განხორციელებული პროექტები

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბიუროს დებულებაში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების საფუძველზე, გაზრდილი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად, განხორციელდა თანამშრომლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა.

- განახლდა, ბიუროსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების პროცენტული მაჩვენებელი საბოლოოდ განისაზღვრა 13.1% ოდენობით, რისი გათვალისწინებითაც დეპოზიტზე არსებულ თანხაზე საანგარიშო პერიოდში დარიცხულმა თანხამ **- 1,912,805 ლარი** შეადგინა.

- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N14 დადგენილებით, გადაანგარიშდა და არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით დამტკიცდა ბიუროს მომსახურების განახლებული ტარიფები. შედეგად, 2023 წელს, გაწეული მომსახურებით ბიუროს მიერ მიღებულმა შემოსავალმა თითქმის **40,000,000 ლარი** შეადგინა, რაც დაახლოებით 70%-ით აღემატა წინა პერიოდის მაჩვენებელს.

ეკონომიკური დეპარტამენტი

- რუსთავის ავტობაზრის ტერიტორიაზე განთავსდა შესაბამისი ტექნიკით აღჭურვლი ე.წ. „კოტეჯი ოფისი“, სადაც ხორციელდება მოქალაქეთა მომსახურება მათთვის კომფორტულ გარემოში.

- ახალი ემბლემის მიხედვით, განხორციელდა მანათობელი აბრების მონტაჟი;



- დასრულდა გურჯაანის რეგიონალური განყოფილების სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც სრულად ადაპტირდა შშმ-პირთა საჭიროებებზე.

ეკონომიკური დეპარტამენტი

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უნიფორმების, ლაბორატორიული ხალათების, უსაფრთხოების ჩაფხუტების და სპეციალიზირებული ფეხსაცმელების შეძენა.

- დაიწყო კაპიტალური სარემონტო სამუშაოების შესრულება სამედიცინო დეპარატმენტის ცენტრალურ და შიდა ქართლის (ქ.გორი) რეგიონულ ოფისებში, საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტსა და სათაო ოფისის შენობებში.

- ექსპერტიზის წარმოების პროცესში, შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, ავტოპარკში არსებული ამორტიზირებული ავტომანქანები ჩანაცვლდა ახალი ავტომანქანებით. შეძენილია 1 ერთეული სატვირთო ფურგონი, 21 მაღალი გამავლობის და 3 მსუბუქი ტიპის ავტოსატრასპორტო საშუალება;

ეკონომიკური დეპარტამენტი

- შეძენილი და განახლებული იქნა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტის მართვაში არსებული საექპერტო კვლევებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფების ლიცენზიები, ჰიპერ-კონვერგენტული ინფრასტრუქტურის სპეციალიზირებული მოწყობილობა, პრინტერები, სამაგიდე კომპიუტერები და სხვა, რაშიც ჯამში 2 500 ათას ლარზე მეტი იქნა გადახდილი.

- სამედიცინო დეპარატამენტის ყველა დანაყოფისთვის შეძენილია რადიოგრაფიული და რენტგენული აპარატები.

- ბიუროს ყოველდღიური სერვისების შეუფერხებელი და ეფექტური მუშაობისთვის 2023 წლის მანძილზე, შეძენილია დაკალიბრებასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებული მომსახურებები, საკვალიფიკაციო ტესტების, შესამოწმებელი და საკვლევი ხელსაწყოები, ლაბორატორიული სახარჯი მასალები და ჭურჭელი, შესადარებელი ნიმუშები, ოფისისთვის ყოველდღიურად საჭირო პროდუქცია, ტექნიკური და კომუნალური მომსახურებები და სხვა.

საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

ბიუროსთვის წარმატებული საქმიანობის, ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, საერთაშორისო სტანდარტის მაღალხარისხიანი მომსახურება, ძლიერი და განვითარებაზე ორიენტირებული, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი.

სწორედ ამ მიმართულებით, 2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტმა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა.

ISO/IEC 17025:2018 აკრედიტაცია მიენიჭა ქიმიურ - ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ნარკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიას.

განხორციელდა ბალისტიკური, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპიური, დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის, კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის ლაბორატორიების აკრედიტაციის სფეროების გაფართოება.

ბიუროს ლაბორატორიებმა ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით 2023 წელს წარმატებით გაიარეს ყოველწლიური აკრედიტაციის მონიტორინგი, რაც, წლების განმავლობაში ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობას ადასტურებს.

ყოველწლიურად მიმდინარეობს, სასამართლო ექსპერტების მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხის კონტროლი საერთაშორისო პროფესიულ ტესტირებაში (PT) მონაწილეობის მეშვეობით. ჩატარებული კვლევების შედეგების გადამოწმება ხდება ევროპისა და ამერიკის სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებებში. აღნიშნული უზრუნველყოფს ბიუროს ლაბორატორიების მიერ შესრულებული ექსპერტიზების მაღალ ხარისხს, უტყუარობასა და სანდოობას.

საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

მსოფლიოს სხვადასხვა საექსპერტო დაწესებულებებში დანერგილი სიახლეების გაცნობისა და გამოცდიელების გაზიარების მიზნით, 2023 წელს დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) ორგანიზებით, თურქეთში გამართულ ხარისხისა და კომპეტენციის სამუშაო ჯგუფის (QCLG) ყოველწლიურ კონფერენციაში.

კონფერენციის ფარგლებში განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა აკრედიტაციის სფეროს პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტების წარმოების განახლებული წესები და მულტიდისციპლინური მიდგომები საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17025:2017/2018 შესაბამისად.

2023 წელი საკმაოდ დატვირთული იყო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებითაც. მთელი წლის განმავლობაში, საერთაშორისო დონორებთან და პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ბიუროს ხელმძღვანელმა პირებმა და ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში, სემინარში და შეხვედრებში.

მათ შორის:

ბიუროს უფროსის მამუკა ჯანგულაშვილის ვიზიტები

ნიდერლანდების სამეფოში სასამართლო ექპსერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) წევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრა-კონფერენციაზე, სადაც განიხილეს საექსპერტო დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მიზანსაც აშშ-ს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით არსებული სპეციფიკისა და გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.

საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

მიმდინარე წელს სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა ბიუროს დელეგაცია ბიუროს უფროსის მოადგილის, მერაბ მურღულიას ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში გაეცნენ ვირჯინიის სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტის, სამეცნიერო ლაბორატორიის მუშაობის სპეციფიკას და დეტალური ინფორმაცია მიიღეს დაქტილოსკოპიური, ბალისტიკური, ბიოლოგიური, ტოქსიკოლოგიური და კონტროლირებადი ნივთიერებების კვლევის თაობაზე.

2023 წლის განმავლობაში ბიუროს სამუშაო ვიზიტით სტუმრობდნენ

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამართლებრივი უწყებები ცენტრალურ აზიაში“ ფარგლებში, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის საექსპერტო დაწესებულებების ხელმძღვანელები.

- აზერბაიჯანის სრულუფლებიანი წევრი საქართველოში

საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

მთელი წლის განმავლობაში, გამოცდილების და სასამართლო ექსპერტიზის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ბიუროს ექსპერტები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში და შეხვედრებში. მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუმინეთში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთში და ბელგიაში.

დეპარტამენტი ასევე აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი საერთაშორისო კონფერენციების და ტრენინგების ორგანიზებაში

ENFSI

INTERNATIONAL NARCOTICS & LAW ENFORCEMENT · JUSTICE & SECURITY · UNITED STATES DEPARTMENT OF STATE

IVSC INTERNATIONAL VALUATION STANDARDS COUNCIL

CEPOL

EUROPOL

ბიუროს პარტნიორ ორგანიზაციებს შორის არიან: საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო (INL), სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო (CEPOL); კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (INTERPOL); წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC);

საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

საერთაშორისო ურთიერთობების და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი 2024 წელს აქტიურად გააგრძელებს საქმიანობას პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების და ახალი ორგანიზაციების მოძიების მიმართულებით.

ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ექსპერტების უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით, 2024 წელს იგეგმება საერთაშორისო ტრენინგების და სემინარების მოძიება და ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და პროფესიულ განვითარებას.

2024 წელს, ლაბორატორიების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის შენარჩუნებისთვის დეპარტამენტი მოქმედ ლაბორატორიებთან ერთობლივად იმუშავებს სხვადასხვა საექსპერტო მიმართულებისთვის აკრედიტაციის სფეროების გაფართოებაზე, ასევე ახალი საექსპერტო კვლევების დანერგვაზე მსოფლიოს წამყვან ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, საჭირო აპარატურის მოძიების და შეძენის ხელშეწყობაზე.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი ერთ-ერთი წამყვანი საექსპერტო მიმართულებაა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესის წარმატებით წარმართვის კუთხით.

დეპარტამენტის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია როგორც ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარება ასევე ადამიანური რესურსის გაძლიერება. ამ მიზნით გუნდს მიმდინარე წელს შემოუერთდა 2 ექსპერტი, მათ შორის:

- ✓ სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოში - სახანძრო ექსპერტიზის მიმართულებით;
- ✓ ამავე სამმართველოში სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მიმდინერე წელს დეპარტამენტმა საექსპერტო კვლევებისთვის, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტიები განახორციელა. კერძოდ:

- ❑ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის მიმართულებით შეძენილი იქნა:



ხელის კვლების საიდენტიფიკაციო კვლევისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა





ხელის ფარული კვლების აღმოსაჩენი სანათი საშუალება

გამწოვი კარადა

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- ❑ ბალისტიკური ექსპერტიზის მიმართულებით

შემთხვევის ადგილზე განსახორციელებელი ვიზირების კომპლექტი

ლაზერული მანძილმზომი

საზომი საშუალება - შტანგელ ფარგალი

შემთხვევის ადგილზე სამუშაო ფანრების კომპლექტი

ვაზნის დამშლელი მოწყობილობა

- ❑ ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის მიმართულებით

მაღალმგრძნობიარე სტერეო ყურსასმენები

AMPED SOFTWARE

სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფებზე Amped Five და Amped Authenticate განახლდა ლიცენზია და 3 წლის ვადით გახანგრძლივდა მხარდაჭერა

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ტრასოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით

შეძენილ იქნა პროგრამული უზრუნველყოფა Autovin v3.07, სხვადასხვა მარკა-მოდელის სატრანსპორტო საშუალებათა განახლებადი ბაზით;

საექსპერტო მომსახურების გაფართოება

ბიუროს და კომპანიებს ენ-ჯი-თი-ს და მაგთიკომს შორის, შეთანხმების შედეგად, საბუთების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის სამმართველომ გაიარა ყველა შესაბამისი მოსამზადებელი პროცედურა და განხორციელდა საცდელი კვლევა ზემოთხსენებული კომპანიების მიერ დანიშნულ ელექტრონულ ხელმოწერებზე. აღნიშნული სახის საექსპერტო მომსახურების მიღების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა ასევე „თოდუას კლინიკა“- სთან და მიმდინარეობს საცდელი ექსპერტიზის ჩატარება.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა

2023 წელს, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონფერენციებსა და ექსპერტთა საერთაშორისო გაერთიანებების პროფილური ჯგუფების სამუშაო შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა. კერძოდ:

ხელწერის ექსპერტიზის მიმართულებით, პორტუგალიის ქალაქ ევორაში გამართულ - გრაფოლოგების საერთაშორისო გაერთიანების 21-ე კონფერენციაში. სადაც სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა პრეზენტაციების ფორმატში, მონაწილეებს გააცნეს თანამედროვე კვლევები და მიღწევები, ისეთ საკითხებში როგორიცაა: ნეირომეცნიერება; წერისა და გრაფიკული მოძრაობის კონტროლი, მოტორ კონტროლი (ჯანმრთელობის სხვადასხვა მდგომარეობის პირობებში); კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა და კვლევა; ხელნაწერის კრიმინალისტიკური კვლევა, ხელწერის მახასიათებლები, შემსრულებელი პირის იდენტიფიკაცია-ვერიფიკაცია, ხელმოწერის ვერიფიკაცია, მეთოდები და კომპიუტერული ხელსაწყოები; ელექტრონული ხელმოწერის გენერირება, ბიომეტრიული მონაცემების კვლევის მეთოდები და სხვა.



კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა

დაქტილოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის მიმართულებით

აშშ-ს მერილენდის შტატში გამართულ - იდენტიფიკაციის საერთაშორისო ასოციაციის 107-ე კონფერენციაში. კონფერენციის ფარგლებში, მონაწილეებს, ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ორგანოს ექსპერტებმა გაუზიარეს ცოდნა და გამოცდილება იმ თანამედროვე მიდგომებისა და გამოწვევების შესახებ, რომლითაც ხელმძღვანელობენ კვლევის პროცესში.

მოეწყო პრაქტიკული სემინარები, ჰაბიტოსკოპიასა და დაქტილოსკოპიაში არსებულ სირთულეებისა და გამოწვევების, ახალ ტექნიკურ საშუალებებთან და პროგრამებთან მუშაობის მეთოდების, ციფრული ფოტოგრაფირების კრიმინალისტიკურ გამოყენებასა და სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენის თავისებურებების შესახებ.



კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა

ბალისტიკური ექსპერტიზის მიმართულებით, ექსპერტებმა ბელგიის ქალაქ ბრიუსელში გამართულ - ENFSI-ს პროფილური ჯგუფის 29-ე სამუშაო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა იმსჯელეს თანამედროვე მიდგომებზე ბალისტიკური მიმართულებით. კერძოდ, ბალისტიკურ სისტემებზე და დიაგრამებზე, EU კრიმინალურ სტატისტიკაზე, Truly pro bone publico - სამართლიანობის დადგენაზე, კომპიუტერზე დაფუძნებულ მეთოდებზე და სქემებზე.

ასევე განიხილეს ის საერთაშორისო პროტოკოლები და სტანდარტები, რომლითაც ხელმძღვანელობენ 3D კოპირებული იარაღების, სროლის მანძილის, ცეცხლსასროლი იარაღის, ხელნაკეთი იარაღების, გლოკის სისტემის ახალი თაობის იარაღების და საბრძოლო მასალის, სროლის ტრაექტორიის გამოთვლის, ცეცხლსასროლი დაზიანებების, ტყვიის ტრაექტორიის ცვლილების ექსპერტიზის დროს.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
პროფესიული განვითარება

დეპარტამენტის განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება. ექსპერტები მუდმივად ერთვებიან საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებებში, სადაც საუკეთესო შედეგებს აღწევენ. მიმდინარე წელს ექსპერტები მონაწილეობდნენ:

- ✓ დაქტილოსკოპიის, ბალისტიკის, ტრასოლოგიის და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის მიმართულებით, საერთაშორისო დონეზე აღიარებული აშშ-ს კომპანია CTS -ის მიერ მოწოდებულ საკვალიფიკაციო ტესტირებაში;

- ✓ ვიდეო-ჰაბიტოსკოპიური მიმართულებით ENFSI-ს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებაში;

- ✓ ხელწერის ექსპერტიზის მიმართულებით ENFSI მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებაში და CTS -ის მიერ მოწოდებულ საკვალიფიკაციო ტესტირებაში;



- ✓ 2023 წლის გეგმა-გრაფიკის მიხედვით, დაქტილოსკოპიის, ბალისტიკის, ტრასოლოგიის და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის მიმართულების ექსპერტებმა წარმატებით გაიარეს შიდა ლაბორატორიული ტრენინგები.

- ✓ ასევე გეგმის მიხედვით, დეპარტამენტის აკრედიტებულმა ლაბორატორიებმა წარმატებით გაიარეს 17025:2017/2018 აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად ყოველწლიური მონიტორინგი.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი
2024 წლის გეგმა

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტში, საექსპერტო კვლევების და ლაბორატორიებში საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად, 2024 წელს იგეგმება:

- დეპარტამენტის მიერ საექსპერტო საქმიანობისთვის გამოკვეთილი საჭიროებების (მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები) მოძიება და შეძენა;

- ექსპერტთა უწყვეტი განათლების ფარგლებში, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მიმართულების საერთაშორისო ავტორიტეტის და გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათ მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო ტესტირებებში მონაწილეობა;

- ხარისხის კონტროლის მიმართულებით, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დეპარტამენტის შესაბამისი ლაბორატორიების ყოველწლიური მონიტორინგი;

- ENFSI-ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, თემატურ გამოფენებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მიმართულებით, მსოფლიოში მიმდინარე სიახლეების, ექსპერტიზის ინოვაციური მეთოდების და უახლესი ტექნიკური აღჭურვილობის გაცნობის მიზნით;

- მსოფლიოს წამყვან კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებთან თანმშრომლობა, დეპარტამენტის სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებისთვის სასწავლო გაცვლითი ვიზიტების განხორციელების მიზნით;



სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წელი სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის საკმაოდ დატვირთული, შრომატევადი და ნაყოფიერი აღმოჩნდა, როგორც ექსპერტიზების წარმოების, ასევე ექსპერტების პროფესიული განვითარების, ახალი კადრების დასაქმების და საექსპერტო მომსახურების განვითარების კუთხით.

მიმდინარე წელს დეპარტამენტის პროფესიონალ ექსპერტთა გუნდს სხვადასხვა საექსპერტო მიმართულებით შეუერთდა 2 ექსპერტი.

სტაჟირება გაიარა ორმა პირმა, რომელთაგანაც ერთ-ერთმა საქმიანობა სასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებით განაგრძო .

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

პროფესიული განვითარება

დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2023 წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით არა ერთ საერთაშორისო ტრენინგში, სემინარში და კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.

მათ შორის:

- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სსენ) სტრუქტურას და მისი გამოყენების წესების შესახებ ტრენინგი;

- შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IVSC) ეგიდით გამართული შემფასებელთა ყოველწლიური საერთაშორისო სემინარი (Annual General Meeting - AGM) საფრაგეთში;

- შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული სემინარები, რის შედეგადაც ექსპერტებს გადაეცათ სერთიფიკატები ბიზნესის შეფასების სფეროში და არამატერიალური აქტივების შეფასების სფეროში.

ბიუროსა და USAID-ის მხარდაჭერით საქართველოს ,,მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაციის” მიერ შემფასებელთა პროფესიული სერთიფიცირებისა და მომზადების პროგრამის ფარგლებში, დეპარტამენტის ექსპერტებმა განაახლეს ბიზნესის, უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებლის ISO/IEC 17024 სტანდარტის სერთიფიკატები;

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს შეფასების დარგში ყველაზე ავტორიტეტულ ორგანიზაციასთან „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან“ (IVSC), რომლის წევრიც არის 2021 წლიდან.

საბჭოსთან ურთიერთანამშრომლობით ექსპერტები მუდმივად ეცნობიან მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებს შეფასების კუთხით და ნერგავენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

INTERNATIONAL VALUATION STANDARDS COUNCIL

მომახურების გაუმჯობესების მიზნით, სრულიად განახლდა რუსთავის ავტომობილების ბაზრობის ტერიტორიაზე მდებარე ბიუროს მომსახურების ცენტრი, სადაც მოქალაქეებს ყველა სტანდარტის დაცვით აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ მოძრავი ქონება.

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი, 2024 წლის განმავლობაში დეპარტამენტის განვითარების მიმართულებით გეგმავს:

- საექსპერტო საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- ახალი კადრების მოძიებას და მათ გადამზადებას, შემდგომი დასაქმების მიზნით;
- საექსპერტო მიმართულებების გაფართოებას;
- ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენინგების მოძიებას და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას. მათ შორის:

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის მიმართულების ექსპერტებისთვის, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში არსებული სიახლეების, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებების შესახებ ტრენინგები

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წელი საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებისთვის საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. ექსპერტიზები ჩაუტარდა არაერთ სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტებს, თითქმის ორჯერ გიზარდა მომართვიანობა კერძო სექტორის და ფიზიკური პირების მხრიდან.

საკადრო უზრუნველყოფა

იმის გათვალისწინებით, რომ დეპარტამენტი მისი საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მუდმივად განიცდის სპეციალისტების სიმწირეს, ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მიზნით, ყოველწლიურად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის სტაჟირების პროგრამები, რომლის მიზანია ახალგაზრდებისთვის შესაბამისი ცოდნის გაზიარება, მათი საექსპერტო საქმიანობაში ჩართვა და გამოცდილების დაგროვების შემდგომ ბიუროში დასაქმება.

2023 წელს დეპარტამენტის სხვადასხვა საექსპერტო მიმართულებებზე სტაჟირება გაიარა რვა პირმა, რომელთაგან ოთხი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების წარმატებით გავლის შემდგომ დასაქმდა ექსპერტად.

2023 წელს საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა ყოველწლიური აკრედიტაცია

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წელი ქიმიურ - ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის საკმაოდ შრომატევადი და დახუნძლული იყო ექსპერტიზების რაოდენობებით, დანერგილი მეთოდებით, საკადრო უზრუნველყოფით, პროფესიული განვითერებით და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივებით და სიახლეებით.

აკრედიტაცია

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის, უმნიშვნელოვანესია მომხმარებლისთვის საერთაშორისო სტანდარტის და ხარისხის მომსახურების შეთავაზება. სწორედ ამ მიზნით, 2023 წელს დეპარტამენტის ყველა აკრედიტებულმა ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა ყოველწლიური გეგმიური ინსპექტირება ISO17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად.

აკრედიტაციის სფეროს გაფართოების მიზნით ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველომ მთელი წლის განმავლობაში აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებები განახორციელა

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წელს დეპარტამენტში დანერგილი მეთოდები

დეპარტამენტის ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის სამმართველომ ინდუსტრიულ პლაზმასთან შეწყვილებულ ოპტიკურ-ემისიურ სპექტრომეტრზე (“ICP-OES”) დანერგა შემდეგი არბიტრაჟული მეთოდები კერძოდ:

- სხვადასხვა სახის შენადნობის ხარისხის დადგენის მეთოდი;
- სხვადასხვა მოხმარების საგნებში, საღებავებში და ტყავის ნაწარმში ტყვიის და მძიმე მეტალების ანალიზი და სხვა.

ნივთიერებათა, მასალათა ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის ლაბირატორია ერთადერთი ლაბორატორიაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც ქსოვილების, ფეროსილიკომანგანუმის შენადნობების, მანგანუმის მადნების და კონცენტრატების კვლევაში გააჩნია „ISO17025” საერთაშორისო აკრედიტაცია. აკრედიტაციის ფართო მოქნილი სფეროს შედეგად საგრძნობლად არის გაზრდილი ექსპერტიზების რაოდენობა

ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით ჩაუტარდა ბიოლოგიურ ობიექტებში (სისხლი,შარდი) და საგანმატარებლებში ქრომატომასსპექტრო-მეტრული მანიპულაციებით ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ანალიზის მეთოდების ოპტიმიზაცია.

ლაბორატორიისთვის შეძენილ აპარატზე დამუშავდა ბიოლოგიურ ობიექტში მძიმე მეტალების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წელს დეპარტამენტში დანერგილი მეთოდები

კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის მიმართულებით გაზურ-ქრომატოგრაფიული მეთოდით დაინერგა ელექტრო სიგარეტებში და მათთვის განკუთვნილ სითხეებში ნიკოტინის შემცველობის განსაზღვრა.

ასევე აეწყო რძეში და რძის პროდუქტებში მცენარეული წარმოშობის ფიტოსტეროლების აღმოჩენის ქრომატოგრაფიული მეთოდი.

კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ლაბორატორია ერთადერთი ლაბორატორიაა საქართველოში, რომელიც გასცემს დასკვნებს საკვები პროდუქტების ფალსიფიკაციის შესახებ

ნავთობპროდუქტების ექსპერტიზის მიმართულებით ინფრაწითელი სპექტრომეტრული მეთოდით დაინერგა დიზელის საწვავში ცხიმოვანი მჟავების მეთილის ეთერების რაოდენობრივი განსაზღვრა

ნაკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით განახლდა პანდემიის შედეგად დროებით შეჩერებული ამონასუთქი ჰაერით ალკოჰოლური თრობის დადგენის ექსპერტიზა.

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი
საერთაშორისო ტესტირებებში მონაწილეობა

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ექსპერტების უწყვეტი განათლება. სწორედ ამ მიზნით, ყოველწლიურად დეპარტამენტის ლაბორატორიები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო პროფესიულ ტესტირებებში სადაც უმაღლეს შედეგებს აღწევენ.

2023 წელს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ მონაწილეობა მიიღო სასამართო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტესტირებაში, რომლის მიხედვითაც ლაბორატორიამ ოთხი უცნობი შემადგენლობის ფხვნილში განახორციელა ნარკოტიკული ნივთიერებების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზი.

ასევე მიმდინარე წელს **ნავთობპროდუქტების ლაბორატორია** ჩართული იყო ადგილობრივ ოთხ ლაბორატორიათაშორის შედარებაში ტრანსფორმატორის ზეთის, ბენზინის საწვავის, ძრავის ზეთის და საცხის ნიმუშებზე. ტესტირების შედეგად ლაბორატორიამ მაღალი შეფასება მიიღო

ნავთობროდუქტების ლაბორატორიამ ასევე, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტესტირებაში, ბენზინის საწვავის უცნობი ნიმუშის დადგენის თაობაზე. ამჟამად მიმდინარეობს შედეგების სტატისტიკური დამუშავება.

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი
განახლებული ინფრასტრუქტურა

დეპარტამენტის მიზანია დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად განახოციელოს საერთაშორისო სტანდარტის საექპერტო კვლევები. ამ მიზნით მუდმივად ხოციელდება მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლება.

2023 წელს დეპარტამეტმა

ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის ლაბორატორიისთვის სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპის „SEM-EDX" -ის შეძენისთვის საჭირო პროცედურები დაასრულა და 2024 წელს აღნიშნული ხელსაწყოს საშუალებით ბიურო საქართველოში იქნება ერთადერთი საექსპერტო დაწესებულება, რომელიც შეძლებს ჩაატაროს სროლის პროდუქტების სრული ანალიზი.

ამჟამად მიმდინარეობს შესყიდვების პროცედურები სითხური მასპექტრომეტრების შესაძენად **ტოქსიკოლოგიური** და **კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების** ექსპერტიზის ლაბორატორიებისთვის

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი
სამომავლო გეგმები

2024 წელს დეპარტამენტი წინა წლების მსგავსად მნიშვნელოვან სიახლეებს შესთავაზებს მომხმარებელს. დეპარტამენტის მიერ იგეგმება ახალი მოთხოვნადი საექსპერტო მიმართულებების მეთოდოლოგიაზე მუშაობა და მათი პრაქტიკაში დანერგვა. ასევე აქტიურად გაგრძელდება დეპარტამენტის საქმიანობა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. საექსპერტო ლაბორატორიები მიიღებენ მონაწილეობას როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ საკვალიფიკაციო ტესტირებებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში და სხვა;

2024 წელს ასევე იგეგმება:

- ❖ ახალი კადრების მოზიდვის მიზნით პროფესიული სტაჟირებები წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის
- ❖ მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარება
- ❖ ახალი საექსპერტო კვლევების დანერგვა

კვების პროდუქტების ლაბორატორიაში გაგრძელდება კვლევები კრიმინალისტიკური ხაზით, კერძოდ შემუშავდება ახალი მეთოდები საკვები პროდუქტების ლაქის აღმოჩენის მიმართულებით. ასევე დაგეგმილია პროტეომიქსის მიმართულების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად გადაჭრის როგორც კვების ასევე სხვა მიმართულებების მრავალ ახალ ამოცანას.

კვების ლაბორატორიისთვის იგეგმება Orbitrap - ხელსაწყოს შეძენა, რომლის საშუალებითაც საკვებ პროდუქტებში შესაძლებელი გახდება საღებავების ფართო სპექტრის, ანტიბიოტიკების, საკვები დანამატების ანალიზის ჩატარება.

2024 წელს იგეგმება აკრედიტაციის სფეროს გაფართოება. კერძოდ: საკვებ პროდუქტებში სოიოს შემცველობისა და ხორცის სახეობების იდენტიფიცირების RT-PCR მეთოდი, რომელიც დაეხმარება ექსპერტებს გამოავლინონ ფალსიფიკაციის შემთხვევები.

ქიმიურ -ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი
სამომავლო გეგმები

ნავთობპროდუქტების ლაბორატორიისთვის იგეგმება ნამუშევარი ზეთების საკვლევად ზეთების და საავიაციო საწვავის სისუფთავის განმსაზღვრელი ხელსაწყოს და ASTM d 2265 -ის მიხედვით წვეთდავარდნის განმსაზღვრელი ხელსაწყოს შეძენა.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით იგეგმება საერთაშორისო ლაბორატორიების გამოცდილების გაზიარება ბიოლოგიურ ობიექტებში ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ახალი ფსიქოაქტიური, აქროლადი ნივთიერებების და მძიმე მეტალების კვლევის ინსტრუმენტალური ანალიზის მეთოდებთან დაკავშირებით.

გარდაცვლილი პირების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის კვლევებში, აშშ-ის და ევროპის წამყვანი დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინება ქიმიური ანალიზის და შედეგების ინტერპრეტაციის მხრივ;

ბიოლოგიურ ობიექტში (სისხლი,შარდი) და საგანმატარებელში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების და მათი მეტაბოლიტების თვისობრივ - რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების (GC-MS, GC-MS/MS, LC-MS/MS) ოპტიმიზაცია.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

სისხლის სამართლის დანაშაულის ძიებისას და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, სხვადასხვა ექსპერტიზებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართლება სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზაა, რომელის ექსპერტებსაც, წინა წლების მსგავსად საკმაოდ დატვირთული და შრომატევადი წელი ჰქონდათ.

აფხაზეთში და სამაჩაბლოში უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირების პროცესში მონაწილეობა

მიმდინარე წელს კვლავ გაგრძელდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში - აფხაზეთში დაღუპული პირების იდენტიფიკაციის პროცესი. 2023 წელს 56 გარდაცვლილი პირის ნეშტები გადაეცათ ოჯახის წევრებს.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა წითელი ჯვრის მიერ რეკომენდირებულ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროგრამის ტრანსფორმაციის პროცესში

ახალგაზრდა კადრების გადამზადება და დასაქმება

წინა წლების მსგავსად დეპარტამენტის ექპერტებმა 2023 წელსაც არაერთ ახალგაზრდა კოლეგას გაუზიარეს პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დეპარტამენტის ბაზაზე სტაჟირება გაიარეს

- შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკური საავადმყოფოს“,„ზოგადი ქირურგიის“ და „სისხლძარღვთა ქირურგიის“ პროგრამის **რეზიდენტებმა**
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **რეზიდენტებმა**
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **სტუდენტებმა**

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

საკადრო უზრუნველყოფა, კადრების კარიერული წინსვლა

მიმდინარე წელს დეპარტამენტში, კერძოდ შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში დაინიშნა ორი თანამშრომელი მათ შორის:

- ❑ ერთი თანამშრომელი - ექსპერტის პოზიციაზე
- ❑ ერთი თანამშრომელი - სანიტრის პოზიციაზე

თანამშრომლების პროფესიული განვითარება

მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტის ექსპერტებმა და თანამშრომლებმა არაერთ ტრენინგში და სამუშაო ჯგუფების შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის:

- ❑ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ხელშეწყობით, ბელგრადში, პეტნიცას სამეცნიერო ცენტრში, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ორ თანამშრომელს ჩაუტარდა ორ კვირიანი ინტენსიური კურსი უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, ნეშტების ამოღების, ანალიზისა და ამოცნობის პროცესის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ტექნიკური ცოდნისა და უნარებისა გაზრდას (კურსის აქცენტი მასობრივი სამარხების მოძიებასა და ნეშტების ამოღებაზე და ნეშტების ანალიზისა და ამოცნობის პროცესზე).

- ❑ ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრში შედგა სხვადასხვა უწყების შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელთან, ესტონეთის ელჩთან და გაეროს ბავშვთა ფონდის ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ბავშვთა დაცვის სპეციალისტთან, რომლის მიზანი იყო, ცენტრის ფუნქციონირების და სამომავლო პრიორიტეტების გაცნობა, გამოწვევების გადაწყვეტის შესაძლო გზებზე მსჯელობა.

- ❑ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით ჩატარდა სემინარი თემაზე: „სამედიცინო ანთროპოლოგიური ექსპერტიზა ფოტოგრაფიაში “, სადაც თბილისის და რეგიონული სამედიცინო ექსპერტიზის ექპსრტებმა მიიღეს მონაწილეობა;

ქალი ექსპერტის დანიშვნით, შიდა ქართლის რეგიონშიც შესაძლებელია სხეულის დაზიანების ექსპერტიზა გამოსაკვლევი პირის მოთხოვნის შემთხვევაში ერთი სქესის წარმომადგენელმა ჩაატაროს.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი
თანამშრომლების პროფესიული განვითარება

- გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების შეხვედრა ბარნაჰუსის მოდელის დანერგვის გასაუმჯობესებლად, საერთაშორისო ექსპერტების - ბარნაჰუსის მოდელის ავტორის, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრის და ექსპერტის სამართლებრივ საკითხებში და ბრიტანეთში ბარნაჰუსის მოდელის დანერგვის პროცესის ხელმძღვანელის მონაწილეობით.

- აშშ საელჩოს ორგანიზებით სამუშაო შეხვედრა საქართველოში სასამართლო ექთნების ინსტიტუტის (SANE) პროექტის შესამუშავებლად.

- აშშ საელჩოს ორგანიზებით ოჯახში ძალადობის/გენდერული ძალადობის თემაზე მულტიდისციპლინარული ჯგუფის შეკრება ამერიკელი მოსამართლეების მონაწილეობით.

2023 წელს განხორციელებული პროექტები

მიდინერე წელს სრულად დასრულდა სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზის კახეთის რეგიონული დეპარტამენტის სარებილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, შედეგად ექსპერტებს თანამედროვე სტანდარტის შესაბამის ლაბორატორიებში უწევთ საქმიანობის განხორციელება

დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ დაიწყო აქტიური მუშაობა სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზების წარმოებისას, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევისთვის სისხლისა და შარდის ნიმუშის აღების, შენახვისა და ტრანსპორტირების სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურების შექმნასთან დაკავშირებით.

ბიუროს და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, რეგიონებში ქალი ექსპერტების დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით ჯანდაცვლის სამინისტროს აკრედიტაციის საბჭოს მიერ, აკრედიტირებულია სუბსპეციალობების პროგრამა - სახელწოდებით, „კლინიკური სასამართლო მედიცინა“, აღნიშნული პროგრამის საშუალებით პირების თეორიული გადამზადება მოხდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტში, ხოლო პრაქტიკული მომზადება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი

2024 წლის გეგმა

სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტის, მაღალკვალიფიციური კადრების მიერ მომზადებული ექსპერტიზა შესთავაზოს დამკვეთს. ექსპერტიზების რაოდენობების მატებამ დეპარტამენტი არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. მათი დაძლევის მიზნით 2024 წელს იგეგმება:

- გვამის გამოკვლევის წესებისა და მეთოდების განახლებას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- მიკრომორფოლოგიური (ჰისტოლოგიური) კვლევის ახალი მეთოდების დანერგვას.

- ახალი კადრების მოზიდვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. მათ შორის: სტაჟიერების პროგრამებს, მიზნობრივ ჯგუფებთან შეხვედრების, სხვადასხვა პრეზენტაციების გამართვას დეპარტამენტის საქმიანობის თაობაზე

- თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობას;

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წლის განმავლობაში ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტების მიერ მომზადდა ასობით დასკნა, როგორც სახელმწიფო ისე კერძო პირების დაკვეთის შესაბამისად.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

საექსპერტო პროცესის დაჩქარების მიზნით დეპარტამენტისთვის დამატებით შეძენილი იქნა სხვადასხვა სიმძლავრის ცენტრიფუგები.

აფხაზეთისა და ცხინვალის საომარი მოქმედებების დროს უგზოუკვლოდ დაკარგულთა იდენტიფიკაცია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2022 წელს, აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების **65 ნიმუში იქნა გენოტიპირებული და გაფართოვებული კვლევით, დამატებით 41**, **სულ 106 ნიმუში.**

ამავე პროექტის ფარგლებში, ბიუროს საცავში დაარქივდა 1037-ზე მეტი ბიოლოგიური ნიმუში.

COMITÉ INTERNATIONAL GENÈVE
ICRC

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო ტესტირებებში, კონფერენციებში და ტრენინგებში

2023 წელს, წინა წლების მსგავსად საერთაშორისო გამოცდილების გაზირების და ბიუროში დანერგვის მიზნით, დეპარტამენტის ექსპერტებმა მთელი წლის მანძილზე არაერთ კონფერენციაში, სემინარსა თუ ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის:

- ❖ ნიდერლანდების სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტის (NFI) მიერ ორგანიზებულ, ევროპის საექსპერტო დაწესებულებათა ქსელის (ENFSI) დნმ-ექსპერტთა გაზაფხულის ონლაინ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომელზეც განხილული იქნა ახალი გაიდლაინები, გენეტიკური კვლევის მიმართულებით.

- ❖ ხარკოვში, უკრაინის იუსტიციის სამინისტროს, ბოკარიუსის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის, სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ჰიბრიდულ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „სასამართლო ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკის აქტუალური საკითხები“

- ❖ საერთაშორისო სიმპოზიუმში, თემაზე „დნმ მონაცემთა ბაზების კანონმდებლობის საჭიროება საქართველოში“.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო ტესტირებებში, კონფერენციებში და ტრენინგებში

- ინტერპოლის, EURA DNA, ThermoFisher და GTH DNA ორგანიზებით, შერატონ გრანდ თბილისში, გაიმართულ „დნმ-მონაცემთა ბაზის პოლიტიკის“ რეგიონულ სიმპოზიუმში, რომლის ფარგლებშიც მოლეკულური გენეტიკის დარგში, მსოფლიოს გამოჩენილმა ექსპერტმა აშშ-დან, ბრიუს ბუდაუელმა და დნმ ექსპერტმა ისრაელიდან ნურით ბაბლილმა, გამართეს ორდღიანი ტრენინგი.

- ბიოლოგიური ექსპერიზის დეპარტამენტის ექიმ-გენეტიკოსებმა, იშვიათ და არადიაგნოზირებული დაავადებების მე-12 საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, სადაც წარადგინეს პოსტერ-პრეზენტაცია.

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

ექსპერტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და ტრენინგებში

- ქუთაისში, ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა ნინო ყოჩიაშვილმა, აშშ საელჩოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, რომელიც განკუთვნილი იყო საგამოძიებო სტრუქტურების გამომძიებლებისა და უფლებადამცველებისათვის,წარადგინა მოხსენება „**დნმ-ნივთმტკიცების სწორად შეგროვება“.**

- წითელი ჯვრის **საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) სომხეთის წარმომადგენლობის** ინიციატივით, დეპარტამენტს სასწავლო ვიზიტით ესტუმრა სომხეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფი. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა სომეხ კოლეგებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ISO 17025 მოთხოვნების შესახებ სასამართლო გენეტიკური ექსპერტიზის ლაბორატორიებისთვის.



საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი ერთერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომელიც ახორციელებს ბიუროს ციფრულ ტრანსფორმაციას. უზრუნველყოფს თანამედროვე ინფრასტრუქტურის და კიბერუსაფრთხოების სტანდარტებს.

მიმდინარე წელს დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი სიახლები დანერგა და განახორციელა მათ შორის:



- ✓ **კომერციულ, საგადახდო და სახელმწიფო სექტორთან** ახალი **საბილინგე** სისტემის შემუშავება;
- ✓ ახალი **საბილინგე** სისტემის მიბმა FIMS სისტემასთან;
- ✓ CODIS სრული განახლება;
- ✓ შემოჭრის პრევენციის სისტემის (IPS - Intrusion Prevention System) განახლება/დანერგვა;
- ✓ არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და ოპტიმიზაცია;
- ✓ უსაფრთხოების სისტემის შეძენა/დანერგვა გარე სერვისების და მომხმარებლების აგრეგაციისათვის;
- ✓ უსაფრთხოების სისტემის შეძენა/დანერგვა შიდა სერვისების სეგმენტისათვის
- ✓ საექსპერტო ინფორმაციული მენეჯმენტ პროგრამის (FIMS/eDOC) ფუნქციონალის გაფართოება;
- ✓ ახალი საჭირო სისტემების/სერვისების დანერგვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წელს დეპარტემენტს საჩუქრად გადაეცა

- ციფრული მატარებლებიდან ინფორმაციის ამოღება/აღდგენისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა (**Magnet Forensics AXIOM**)
- ციფრულ მტკიცებულებებთან სამუშაო მოწყობილობების და ინსტრუმენტების ნაკრები.

მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტი ასევე აქტიურად ახორციელებდა ბიუროს თანამშრომელთა ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

2024 წელს დეპარტამენტში იგეგმება

- ❑ არსებული პროგრამული უზრუნველყოფების ლიცენზიების განახლება;
- ❑ დაზიანებული მყარი დისკების შეკეთებისათვის საჭირო ჰაერის გამწოვ-გამწმენდი (Air Cleaner), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მყარ დისკთან მუშაობა მტვრის ნაწილაკებისგან განთავისუფლებულ გარემოში, რათა აცილებულ იქნას მათი დაზიანება;
- ❑ ციფრული მატარებლებიდან ინფორმაციის ამოღება/აღდგენისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა (**X-Ways**);
- ❑ უსაფრთხოების კოდით ან გრაფიკული უსაფრთხოების კოდით დაშიფრული მობილური ტელეფონების მეხსიერებაში შეღწევისათვის განკუთვნილი მოწყობილობა (**Octoplus Box**);
- ❑ მობილური ტელეფონებიდან ინფორმაციის ამოღება პირდაპირ მეხსიერების ჩიპიდან (**Cellebrite or XRY Chip Off**).
- ❑ სარეზერვო მონაცემთა ცენტრის მოწყობა TR2 სტანდარტის შესაბამისად სარეზერვო სისტემის დანერგვა
- ❑ ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემის (SolarWinds) დანერგვა
- ❑ სასერვერო ინფრასტრუქტურის გაგრილების და კვების სისტემების მხარდაჭერა
- ❑ სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება/გაძლიერება
- ❑ არსებული სისტემების განახლება

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებმა მთელი წლის განმავლობაში ოცი ათასზე -ზე მეტ ექსპერტიზაზე იმუშავეს.

გარდა საექსპერტო საქმიანობისა, ისინი აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა თემატურ კონფერენციებში და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში

მთელი წლის განმავლობაში დეპარტამენტის ექსპერტებმა, საინფორმაციო საშუალებების დახმარებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საზოგადოებას ფსიქიატრიული დაავადებების თაობაზე.

2024 წელს იგეგმება

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სხვადასხვა ტრენინგების ორგანიზება. მათ შორის:

- შფოთვითი აშლილობები;
- დუალური დიაგნოზი;
- ბიპოლარული აშლილობები;
- სასერტიფიკაციო კურსი ბავშვთა ფსიქიატრიაში და ნარკოლოგიაში;
- არასრულწლოვანთა ინტერვიუირების მეთოდოლოგიის საკითხებზე და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

2023 წელს, შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ბიუროს სამსახურების გამართულად და წარმატებულად საქმიანობის მონიტორინგის მიზნით, სხვადასხვა სახის ღონისძიებები განახორციელა. მათ შორის, შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით:

- შემოწმდა შესყიდვის პროცედურების განხორციელების, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;

- განხორციელდა ბიუროს დებიტორ - კრედიტორების კონტროლის აუდიტი.

- შემოწმდა სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს 2021 წლის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილი ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური აუდიტის შიდა აუდიტორული ანგარიში

- 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით ცხელ ხაზზე სულ შემოვიდა **29 704 ზარი**

  - 988 ზარზე გამოიკვეთა დარღვევა, რომელზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;

  - 28 717 პირს გაეწია კონსულტაცია.

დეპარტამენტში შემოვიდა 139 საჩივარ-განცხადება რომელზეც დეპარტამენტმა ჩაატარა მოკვლევა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

მიმდინარე წელს დეპარტემენტის მიერ კვლავ ხორციელდებოდა თანამშრომლების გადამოწმება დროებით განთავისუფლების და ექსპერტების გასვლითი სამუშაოს შესრულებისას.

ასევე პერმანენტულად მიმდინარეობდა ბიუროს კუთვნილი ავტომობილების სიჩქარის და გადაადგილების მონიტორინგი.

ტურნიკეტის პროგრამის საშუალებით, ბიუროს შინაგანაწესის შესაბამისად, ხორციელდება ბიუროს თანამშრომლების სამსახურში დროულად გამოცხადების, სამსახურში ყოფნისა და სამსახურიდან წასვლის მონიტორინგი

მთელი წლის განმავლობაში, ბიუროს თანამშრომელთა მხრიდან გამოვლენილ იქნა დისციპლინური გადაცდომის **11** შემთხვევა

მათ შორის: საყვედური გამოეცხადა 6 თანამშრომელს, გაფრთხილება 3 თანამშრომელს, მოკვლევის შედეგად გათავისუფლდა ერთი თანამშრომელი;

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი

დეპარტამენტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა

შიდა აუდიტის და ინსპექტირების დეპარტამენტი 2024 წლის განმავლობაში გემავს:

ადმინისტრაციულ დეპარტამენტში

- ბიუროს ძირითადი აქტივების აღრიცხვის და მართვის აუდიტს;

ეკონომიკურ დეპარტამენტში

- ბიუროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილი 2022 წლის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას;

- 2022 წელს შესყიდვის პროცედურების განხორციელებას, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორის და წლიური გეგმის შემოწმებას.

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

2023 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტმა მომხმარებლისთვის თანამედროვე სტანდარტის შესაფერისი მომსახურებისთვის და საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა.

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

❑ მოქალაქეთა მისაღებ სივრცეში, დაიდგა რიგის ნომრის აპარატი, რის შედეგადაც მომხმარებლის მომსახურება ბევრად უფრო ორგანიზებული და ოპერატიული გახდა;

❑ დამონტაჟდა საქართველოს ბანკის სპეციალური აპარატი, რომლის მეშვეობითაც ავტომატურად ხდება ფიქსირებული ტარიფების ჩამოჭრა;

❑ დეპარტამენტის სერვის-ცენტრის თანამშრომლებმა გაიარეს გაეროს და სახალხო დამცველის ერთობლივი ონლაინ ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;

❑ დეპარტამენტის სერვის- ცენტრის თანამშრომლებმა გაიარეს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგი სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში;

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით

„ა“ და „ბ“ ბლოკში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, განახლდა ავეჯი, რის საფუძველზეც სამუშაო და მომსახურების სივრცე გახდა კომფორტული და სასიამოვნო.

კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეთა მომსახურების სივრცეში დამატებით განთავსდა შშმ პირთა სარგებლობისათვის განკუთვნილი სველი წერტილი.

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილებაში სასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებით 2023 წელს

- სასაქონლო ჯგუფის (უძრავი-მოძრავი ქონების შეფასება) ექსპერტების საქმიანობის ეფექტური ორგანიზების მიზნით, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე, ერთ ექსპერტს მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილება;
- უძრავი-მოძრავი ქონების მიმართულებით გადამზადდნენ ქონების ინსპექტორები და დაინიშნენ სასაქონლო განყოფილების ექსპერტებად;
- გადამზადდა ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების შემოწმება/შეფასების მიმართულების ექსპერტი;
- კვალიფიციური კადრების შერჩევისა და გადამზადების მიზნით, სასაქონლო განყოფილებაში კონკურსის წესით შეირჩა და დაინიშნა 2 სტაჟიორი

2023 წლის გეგმები

- შეფასების დასკვნების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, იქმნება ქონების შემფასებელთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამომავლოდ განსაზღვრავს შეფასების ერთიან წესებს ბიუროს სერთიფიცირებული ექსპერტებისათვის.
- იგეგმება მოძრავი ქონების (ავტომობილები) შეფასებისას, ექსპერტიზის პროცედურების გამარტივება, კერძოდ დისტანციური მომსახურების პლატფორმის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ექსპერტიზის დანიშვნა, საიტზე საჭირო დოკუმენტების ატვირთვა და საექსპერტო მომსახურების საფასურის გადახდა. აღნიშნული სიახლე დაზოგავს მომხმარებელთა დროს და კომფორტულს გახდის დისტანციურ მომსახურებას.

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილებაში

საინჟინრო ექსპერტიზის მიმართულებით 2023 წელს

დაემატა 2 ექსპერტი რის შედეგადაც, დეპარტამენტში უკვე ტარდება ისეთი სახის ექსპერტიზები, როგორიცაა:

- შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების მიხედვით;
- რეგისტრირებული ფართების გაყოფა-გაერთიანება;
- აზომვითი ნახაზების შედგენა;
- წილის გაყოფა;
- კერძო საკუთრებაში გადაფარვის შემოჭრის დადგენა;
- სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა და პროექტის ექსპერტიზა.

2023 წელს იგეგმება

შესაბამისი კვალიპიკაციის ექსპერტების მოძიება დასაქმების მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი სახის ექსპერტიზების განხორციელებას როგორიცაა:

- ტაქეომეტრით მუშაობა;
- შენობა - ნაგებობების აღდგენა-გაძლიერების, რეკონსტრუქციისა და რემონტის ხარჯთაღრიცხვების შედგენა;
- შენობა - ნაგებობების აღდგენა-გაძლიერების, რეკონსტრუქციისა და რემონტის პროექტის (კონსტრუქციული ნაწილი) შედგენა;
- შენობა - ნაგებობებისა და სხვა კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობისა და მდგრადობის დადგენა;
- საშენი მასალების სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლებისა, ხარისხისა და ნორმებთან და მოთხოვნებათან მათი შესაბამისობის დადგენა;
- ელექტროობასთან დაკავშირებული საკითხები

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით 2023 წელს

- საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად ჩამოყალიბდა ოთხ ცვლიანი სამუშაო გრაფიკი და დაინიშნა ერთი სანიტარი.

ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის, სქესობრივი ხასიათის ქმედებების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსაზღვრული ნორმების დაცვის მიზნით, დაინიშნა ერთი მდედრობითი ექსპერტი.

2024 წელს იგეგმება

კანონმდებლობის შესაბამისად, არასრულწლოვანთა შემთხვევაში სავალდებულოდ, ხოლო სრულწლოვანი ქალის შემთხვევაში გამოსაკვლევი პირის მოთხოვნის შესაბამისად, იდენტური სქესის ექსპერტის გამოყოფის მიზნით, კიდევ ერთი მდედრობითი ექსპერტის დანიშვნა. კადრების სიმცირის გამო ამ ეტაპზე საჭირო ხდება გამოსაკვლევი პირის თბილისში გადაყვანა.

ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით

2023 წელს

- ამბულატორიულ სასამართლო - ფსიქიატრიულ განყოფილებაში დაინიშნა ერთი თანამშრომელი (ფსიქოლოგი)

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტმანეტის განყოფილებების აქტიური და შეუფერხებელი საქმიანობის შედეგად, 2023 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ შესრულდა 13850 დასკვნა, მათ შორის:

- სასაქონლო და ფინანსური;
- სამედიცინო;
- ფსიქიატრიული;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური;
- საინჟინრო;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური;
- ბიოლოგიური და სხვა.

საკადრო უზრუნველყოფა

2023 წელს დასავლეთ საქართელოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში, საინჟინრო ექსპერტიზის მიმართულებით, მომსახურების დროულად გაწევისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით დასაქმდა ორი ექსპერტი.

კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანთა შემთხვევაში სავალდებულოდ, ხოლო ზრდასრულ ქალბატონთა შემთხვევაში, გამოსაკვლევი პირის სურვილის შესაბამისად, გამოკვლევის ჩატარებას იდენტური სქესის ექსპერტის მიერ, სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში დასაქმდა ერთი ქალი ექსპერტი, რომელიც გადამზადებულია ძალადობის მსხვერპლ ქალებთან კომუნიკაციის მიმართულებით.

აღნიშნულ განყოფილებაში ასევე დასაქმდა ერთი სანიტარი.

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი

თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება

2023 წელი სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის ტრენინგების კუთხით ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომლებმა გაიარეს შემდეგი კურსები:

- გაეროს და სახალხო დამცველის ერთობლივი ონლაინ ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;
- ფინანსთა სამინისტროს აკადამიის ტრენინგი სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებში;
- ტრენინგი ბიუროში საექსპერტო მომსახურების გადახდის ახალი საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

სამომავლო გეგმები

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი 2023 წლის განმავლობაში აქტიურად იქნება ჩართული საექსპერტო მიმართულებების განვითარების პროცესში.

ასევე იგეგმება საექპერტო საქმიანობისთვის საჭირო მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განახლება და განვითარება.

ექსპერტთა და თანამშომელთა პროფესიული განვითარებისთვის დეპარტამენტი გეგმავს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ტრენინგებში და კონფერენციებში მონაწილეობას.

ახალგაზრდა კადრების მოძიების მიზნით, დეპარტამენტში კვლავ აქტიურად გაგრძელდება სტაჟირების პროგრამა.

საექსპერტო საქმიანობის საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობის მიზნით, სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან და სტუდენტებთან იგეგმება თემატური შეხვედრების გამართვა.